# თვითმმართველი ქალაქის –ქუთაისის მერიის საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი

**№2**

ქ. ქუთაისი 07 ნოემბერი 2012 წელი

საკონკურსო კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

| | |
|---|---|
| კოტე რატიანი | – ქ. ქუთაისის მერიის სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსი, საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე. |
| ვასილ მეზურიშვილი | –ქ. ქუთაისის მერიის არქიტექტურის და ზედამხედველობის სამსახურის უფროსი, საკონკურსო კომისიის წევრი |
| ირაკლი გიორგაძე | – ქ. ქუთაისის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი, საკონკურსო კომისიის წევრი. |
| ნოდარ მიქიაშვილი | –ქ. ქუთაისის მერიის სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსის მოადგილე, კომისიის წევრი. |

**დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი :** კონკურსის მეშვეობით ქალაქ ქუთაისში კლდიაშვილის ქუჩის პირველი ჩიხის, წერეთლის ქუჩის მე-4 შესახვევის, ბალანჩივაძის ქუჩის მე-2 შესახვევიდან დეპოს ქუჩაზე დაერთების და „ავტოქარხნის" ტერიტორიული ორგანოს ახლად აშენებული შენობის დაერთების საკანალიზაციო ქსელის მოწყობის საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენასთან დაკავშირებით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადების განხილვის შესახებ (საკონკურსო განცხადების №638. 05.11.2012).

**განხილვა:** საკონკურსო კომისიის წევრმა ნოდარ მიქიაშვილმა კომისიის წევრებს მოახსენა, რომ აღნიშნულ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად დალუქული კონვერტი წარმოადგინა მხოლოდ ერთმა პრეტენდენტმა: შ.პ.ს „კომუნპროექტმა" – 1250 (ათასორასორმოცდაათი) ლარზე დღგ-ს გარეშე.

საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით საკონკურსო წინადადების და საკონკურსო ტექნიკური დოკუმენტაციის განხილვის ვადათ განისაზღვრა 2012 წლის 7 ნოემბერის 12:30 საათამდე პერიოდით.

შ.პ.ს „კომუნპროექტი"-ს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება და თანმხლები დოკუმენტები შეესაბამება საკონკურსო კომისიის მიერ გამოქვეყნებულ განცხადების მოთხოვნებს.

**აზრი გამოთქვეს:** საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ – კოტე რატიანმა. კომისიის წევრებმა: ვასილ მეზურიშვილმა და ირაკლი გიორგაძემ.

ამის შემდეგ განხორციელდა კონკურსანტის შეფასება.
შ.პ.ს „კომუნპროექტი" მიიღო 24,8 ქულა.

**აზრი გამოთქვეს:** საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ – კოტე რატიანმა.

დაადგინეს:

1. საკონკურსო კომისიის შეფასებიდან გამომდინარე ქალაქ ქუთაისში კლდიაშვილის ქუჩის პირველი ჩიხის, წერეთლის ქუჩის მე-4 შესახვევის, ბალანჩივაძის ქუჩის მე-2 შესახვევიდან დეპოს ქუჩაზე დაერთების და „ავტოქარხნის" ტერიტორიული ორგანოს ახლად აშენებული შენობის დაერთების საკანალიზაციო ქსელის მოწყობის საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის სახელმწიფო შესყიდვისათვის გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდა შ.პ.ს ,,კომუნპროექტი".

2. ქალაქ ქუთაისის მერიის კეთილმოწყობის სამსახურმა (ლევან ჭანჭალეიშვილი) გამოყოს სათანადო უფლებამოსილი პირები და უზრუნველყონ ,,შემსყიდველსა" და ,,მიმოწოდებელს" შორის დადებული ხელშეკრულების შესაბამისად საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მიღება–ჩაბარება დადგენილი წესის მიხედვით.

3. საკონკურსო კომისიამ კანონით დადგენილ ვადაში უზრუნველყოს გამარჯვებული ორგანიზაციის მოწვევა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების გასაფორმებლად.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე: კოტე რატიანი

კომისიის წევრები:

ვასილ მებურიშვილი

ირაკლი გიორგაძე

ნოდარ მიქიაშვილი